



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080197835097619

№ 2273

13 / მაისი / 2019 წ.

შპს „თიენდჯის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ტენდერის ნომერი: NAT190001757;

შესყიდვის ობიექტი: 39200000 – ავეჯის აქსესუარები;

პრეტენდენტი: შპს „თიენდჯი“ (ს/ნ: 400213489);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 11 და 15 მარტს წარმოდგენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 7 მარტის № MIA91900596202 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №2673) და 2019 წლის 14 მარტის №MIA01900657151 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 2901), რომლითაც სააგენტოს ეცნობა NAT190001757 ელექტრონული ტენდერიდან პრეტენდენტის – შპს „თიენდჯის“ (ს/ნ: 400213489) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. შპს „თიენდჯის“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე gtcompany22@gmail.com, 2019 წლის 18 მარტის № 1123 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა.

1.3. პრეტენდენტმა სააგენტოში 2019 წლის 22 მარტს წარმოადგინა 2019 წლის 22 მარტის განმარტება (რეგისტრაციის № 3206) NAT190001757 ელექტრონული ტენდერიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო მისი დისკვალიფიკაციის თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, NAT190001757 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს პრეტენდენტებმა – შპს „თიენდჯიმ“ (ს/ნ: 400213489) და შპს „New World“-მა (ს/ნ: 400077064). ამასთან, პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია დამონშებული იყო ერთი და იმავე პირის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით. გარდა ამისა, სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ვებგვერდზე არსებული გადასახადის გადამხდელთა რეესტრის მონაცემებისა და მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით დადგინდა, რომ კომპანიებს ჰყავს ერთი და იგივე დირექტორი – თამარ ჯლანტიაშვილი.

2.2. ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, სატენდერო კომისიის 2019 წლის 22 თებერვლის №3 სხდომის ოქმით, შპს „თიენდჯის“ (ს/ნ: 400213489) მიეცა დისკვალიფიკაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

3. პრეტენდენტის პოზიცია

პრეტენდენტის განმარტების თანახმად, თავდაპირველად NAT190001757 ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადება წარადგინა შპს „თიენდჯიმ“, თუმცა მოგვიანებით კომპანიის წარმომადგენელმა შეამჩნია, რომ გამოჩნა პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნის და კომპანიის მითითება. ამ დროისთვის წინადადებების მიღების დასრულებამდე დარჩენილი იყო 30-35 წუთი. პრეტენდენტს არ სურდა რა არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო დისკვალიფიკაცია, მან დახმარებისათვის მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცხელი ხაზის მეშვეობით. სატელეფონო საუბრისას კომპანიის წარმომადგენელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისმა თანამშრომელმა აცნობა, რომ იგი ვეღარ შეასწორებდა ატვირთულ დოკუმენტაციას და მას შეეძლო მეორე კომპანიით ტენდერში მონაწილეობის მიღება. შესაბამისად, ხსენებულმა პირმა ელექტრონულ ტენდერში ატვირთა შპს „New World“-ის ტექნიკური დოკუმენტაცია. პრეტენდენტმა მიუთითა, რომ ვინაიდან სააგენტოში მიმდინარეობდა ზარების მონიტორინგი, სააგენტოს უნდა გადაემოწმებინა მისი სატელეფონო საუბარი.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 28 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა NAT190001757 ელექტრონული ტენდერი ავეჯის აქსესუარების (CPV39200000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT190001757 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს პრეტენდენტებმა – შპს „თიენდჯიმ“ (ს/ნ: 400213489) და შპს „New World“-მა (ს/ნ: 400077064).

4.3. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2015 წლის 12 ოქტომბრის № B15202529 და 2018 წლის 19 აპრილის № B18043410 ამონაწერებით დგინდება, რომ შპს „თიენდჯისა“ (ს/ნ: 400213489) და შპს „New World“-ს (ს/ნ: 400077064) ჰყავს კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ერთი და იგივე პირი – თამარ ჯლანტიაშვილი.

4.4. სატენდერო კომისიის 2019 წლის 22 თებერვლის №3 სხდომის ოქმით, შპს „თიენდჯის“ (ს/ნ: 400213489) მიეცა დისკვალიფიკაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

4.5. პრეტენდენტის მოთხოვნის შესაბამისად, სააგენტომ შეამოწმა პრეტენდენტის წარმომადგენელსა და სააგენტოს შესაბამის თანამშრომელს შორის შემდგარი ცხელი ხაზის სატელეფონო ჩანაწერი, რის შემდგომაც დადგინდა, რომ სააგენტოს თანამშრომელს კომპანიის წარმომადგენლისთვის მეორე კომპანიით ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის თაობაზე კონსულტაცია არ გაუწევია.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „თიენდჯი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანება, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს

პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „8“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

7.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერილი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართის №1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ამასთან, ამავე პირობების მიხედვით, „კონკურენტი“ არის ნებისმიერი პირი, რომელიც არის ან შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ამ ტენდერში/კონკურსში.

7.5. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ NAT190001757 ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს – შპს „თიენდჯისა“ (ს/ნ: 400213489) და შპს „New World“-ს (ს/ნ: 400077064) მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2015 წლის 12 ოქტომბრის №B15202529 და 2018 წლის 19 აპრილის №B18043410 ამონაწერების თანახმად, ჰყავს კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ერთი და იგივე პირი – თამარ ჯლანტიაშვილი. ამდენად, მოცემული ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება, რომ პრეტენდენტმა ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, კერძოდ, დაარღვია აფიდავიტის პირობები. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან დგინდება, რომ შპს „თიენდჯიმ“ NAT190001757 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „თიენდჯი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

1. შპს „თიენდჯი“ (ს/ნ: 400213489) 2019 წლის 14 მაისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

